

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ქუჩის მიმართულებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი
მაჩვენებლების ესკიზის შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი #1

ქ. თბილისი

14.03.2013წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ლუბა კოზმავა – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;

ალექსი თაბუაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი;

ილია ათანასოვი – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;

ფატი დავითულიანი – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე.

დღის წესრიგი:

ქ. თბილისში, ქუჩის მიმართულებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი მაჩვენებლების ესკიზის შესყიდვის საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის, ალექსი თაბუაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა: ა) საკონკურსო განცხადების პროექტი და ბ) საკონკურსო დოკუმენტაცია.

საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტები, კომისიის თავმჯდომარემ ასევე დადებითად შეაფასა საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

კომისიამ დაადგინა:

- დამტკიცდეს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის (იხ. დანართი N1 და N2) წარმოდგენილი ვარიანტი;
- საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge-ის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე

ლუბა კოზმავა /
ლუბა კოზმავა/

კომისიის წევრი

ალექსი თაბუაშვილი /
ალექსი თაბუაშვილი/

კომისიის წევრი

ილია ათანასოვი /
ილია ათანასოვი/

კომისიის წევრი

ფატი დავითულიანი /
ფატი დავითულიანი/